საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1633-02
11/06/2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების მეორე ტურის გამოცხადების, არჩევნების თარიღისა და პროცედურების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, 24-ე მუხლის მეორე პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების მე-18 მუხლის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 15 მაისის N4 სხდომის გადაწყვეტილების, რექტორის 2019 წლის 16 მაისის N1327-02 ბრძანებისა და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 10 ივნისის N9748-35 წარდგინების საფუძველზე

ვბრძანებ

1. დაინიშნოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების მეორე ტური ტექნოლოგიების სკოლიდან ერთი ვაკანტური და ბიზნესის სკოლიდან ორი ვაკანტური ადგილისათვის იმ ქვემოთ მითითებულ კანდიდატთა შორის, რომელთაც 2019 წლის 6 ივნისს ჩატარებული არჩევნების შედეგად ხმათა თანაბარი რაოდენობა მოიპოვეს:

   ტექნოლოგიების სკოლა:
   ავთანდილ თავხელიძე;
   მურმან მარგველაშვილი;
   ია კუპატაძე.

   ბიზნესის სკოლა:
   რესან ქიქავა;
   გიორგი პაპავა;
   გიორგი ხიშტოვანი.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული არჩევნები ჩატარდეს 2019 წლის 13 ივნისს 11:00-საათიდან 17:00 საათამდე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის F კორპუსის F303 ოთახში(მისამართი: ჩოლოყაშვილის გამზ 3/5);
3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

4. უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა და ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლისა და ბიზნესის სკოლის აკადემიური პერსონალისათვის ინფორმაციის ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიწოდება.
5. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი